

ირმა მაღაციძე

„ვასა“- ჩაძირული სომელი



სერია: „ყველაზე უცნაური მუზეუმები“

კლასი V

ტექსტის ტიპი – საინფორმაციო-შემეცნებითი


ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



„ვასა“ – ჩაძირული ხომალდი

„ვასა“ არის ხომალდი-მუზეუმი შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში. დიდი ხნის წინ ის ნამდვილი ხომალდი იყო, თუმცა ზღვაში გასვლისთანავე ჩაიძირა. ამის შემდეგ „ვასა“ მთელი სამი საუკუნის მანძილზე უძრავად იდო ფსკერზე.





სტოკჰოლმის ერთ-ერთ კუნძულზე, იქ, სადაც წინათ შვედი მეფეები ნადირობდნენ, უზარმაზარი შენობაა აღმართული. სახურავზე გემის ანძის მსგავსი სამი კონსტრუქცია ადგას. ეს არის მუზეუმი, რომელშიც მე-17 საუკუნის ერთადერთი ექსპონატია დაცული. „ვასა“ დღესაც ახალივით გამოიყურება.

1625 წელს შვედეთის მეფემ გუსტავ II ადოლფმა ჰოლანდიელ გემთმშენებელს ჰენრიხ ჰიუბერტსონს გიგანტური ხომალდის აგება დაავალა. მეფეს სურდა, რომ ხომალდი მისი ქვეყნის ფლოტს ჩასდგომოდა სათავეში. გემი ყველაზე დიდი და ბრწყინვალე უნდა ყოფილიყო. მას თავზარი უნდა დაეცა მტრისათვის. გემის ასაგებად 16 ჰექტარი ტყე გაიჩეხა. ხომალდის მშენებლობაში თვით მეფე მონაწილეობდა. იგი თავად კარნახობდა ოსტატებს, რა ზომის უნდა ყოფილიყო გემის ნაწილები ან როგორი ჩუქურთმით უნდა მოეერთოთ.


ხომალდის მშენებლობა 1626 წელს დაიწყო და მასში 400-ზე მეტი ადამიანი იყო ჩართული: მჭედლები, დურგ-ლები, მღებავები და სხვ. „ვასას“ „სამეფო ხომალდად“ მოიხსენიებდნენ. მისი კორპუსი უხვად იყო მორთული მოოქროვილი და მოჩუქურთმებული ქანდაკებებით. ზარბაზნები ბრინჯაოსგან ჩამოასხეს. მეზობელი სახელმ-ნიფოები შიშით ადევნებდნენ თვალყურს მის აგებას, შვე-დები კი ამაყობდნენ ასეთი დიდებული ხომალდით.

„ვასას“ მახასიათებლები	
სიგრძე	69 მეტრი
სიგანე	12 მეტრი
გემბანის სიმაღლე ზღვის დონიდან	52 მეტრი
იალქნების რაოდენობა	10
აღჭურვილობა	64 ბრინჯაოს ქვემეხი
ეკიპაჟი	145 მეზღვაური, 300 ჯარისკაცი

1628 წლის 10 აგვისტოს „ვასა“ მზად იყო ზღვაში გასას-ვლელად. გემის პირველი მგზავრები ეკიპაჟი და მათი ოჯახის წევრები იყვნენ. სანაპიროზე უამრავი ხალხი შეი-კრიბა. ზღვაში გასვლისას კაპიტანმა იალქნების გაშლა ბრძანა. გამოსამშვიდობებელი სალუტის შემდეგ „ვასა“ პირველ მოგზაურობაში გაემართა და დაახლოებით 1300 მეტრიც გაცურა, მაგრამ უცებ ძლიერი ქარი ამოვარდა.



ხომალდი გვერდზე გადაიხარა და ჩაძირვა დაიწყო. მისკენ მაშინვე გაეშურნენ მაშველები – სხვა ხომალდების მეზღვაურები – მაგრამ გემი 64 ძვირფას ზარბაზანთან ერთად ჩაიძირა. დაიღუპა 50 ადამიანი.



როგორც გაირკვა, ხომალდის აგებისას შეცდომა იყო დაშვებული და კატასტროფაც ამან გამოიწვია. ჩაძირვისთანავე სცადეს ზღვიდან ზარბაზნების ამოღება. იმ დროს ეს წარმოუდგენლად რთული იყო, თუმცა 1664-65 წლებში მათი ნაწილის ამოტანა მაინც მოახერხეს. თავად ხომალდი კი, სრულიად დაუზიანებელი, ფსკერზე რჩებოდა. მეფე ჯერ გაბრაზდა, შემდეგ მოიწყინა, მაგრამ ხომალდს ველარაფრით დაიბრუნებდა.

მე-20 საუკუნეში შვედმა ინჟინერმა ანდერს ფრანსენმა ისევ დაიწყო გემის ძებნა. ამჯერად მისი ჩაძირვის ზუსტი ადგილმდებარეობაც აღარავინ იცოდა. 5 წლის ძებნის შემდეგ ზღვის ფსკერზე, 32 მეტრის სიღრმეზე, კარგად შენახული და დაუზიანებელი „ვასა“ იპოვეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი (1961 წ.) გემი წყლიდან ამოიტანეს, კუნძულ იუნგარდენზე დადგეს და დიდ შენობაში მოათავსეს.





როდესაც გემი წყლიდან ამოიტანეს, ყველა გაოცდა: როგორ მოხდა, რომ ამდენი წლის მანძილზე ხომალდი წყალში არ დაზიანდა? საქმე ისაა, რომ ბალტიის ზღვა ძალიან ცივია და მასში არ გვხვდება ე. წ. გემის ჭია. ეს არის მოლუსკი, რომელიც სამხრეთის თბილ ზღვებში ბინადრობს და ხეს სწრაფად ანადგურებს. ამას გარდა, სტოკჰოლმის ნავსადგურის წყლები მე-20 საუკუნემდე ისე ძლიერ ბინძურდებოდა, რომ მასში ხის დამაზიანებელი მიკროორგანიზმებიც ვერ ძლებდნენ.

ლითონის დეტალები კი დაჟანგდა, მაგრამ ხის კორპუსი უვნებელი იყო. ზღვის ფსკერიდან ამოიტანეს 14 ათასი დაჟანგული დეტალი, რომელიც რესტავრატორებმა აღადგინეს. მუზეუმის გახსნამდე ხომალდს 17 წლის განმავლობაში სპეციალური ხსნარით ამუშავებდნენ. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ ხის გამოშრობის შედეგად კორპუსს ფორმა არ შეეცვალა და დეფორმაცია არ განეცადა.



დღეს სტოკჰოლმში არის მუზეუმი, სადაც ყველას შეუძლია უზარმაზარი, ულამაზესი ხომალდის ნახვა. ხომალდი-მუზეუმი ამ ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღირსშესანიშნაობაა. შვედეთის დედაქალაქში ჩასული სტუმრები აუცილებლად ეწვევიან ხოლმე ამ საოცარ მუზეუმს. მათ შეუძლიათ, იხილონ მრავალფეროვანი ორნამენტებით დამშვენებული ბუმბერაზი ხომალდი, უცქირონ ფილმს ვასას დინასტიის მეფეების – გუსტავ I-ისა და გუსტავ II-ის – გმირული ლაშქრობების შესახებ და გაერთონ ატრაქციონით – „გადაარჩინე ვასა“. ეს არის კომპიუტერული თამაში, სადაც მოთამაშეს შეუძლია, შეცვალოს გემის მშენებლობის პროექტი და ამით ხომალდი ჩაძირვისგან იხსნას.



ასე გადაიქცა 395 წლით მივიწყებული „ვასა“ დიდ, საინტერესო მუზეუმად.